

ხელოვნება

ორი ათასწლეულის მემკვიდრეობა



გრაგნილის ფერწერა

კასუგაშინკოძუ ანუ გრაგნილის ფერწერა (იაპონიის ეროვნული არქივების ფოტოებიდან)

იაპონური ხელოვნების განვითარებაზე ბევრმა ფაქტორმა იმოქმედა. საუკუნეების განმავლობაში ის განიცდიდა ჩინეთიდან გადმოღებული სტილისა და კულტურის ელემენტების გავლენას, რომელთაგან ზოგიერთი კორეული წარმოშობის იყო. ბოლო საუკუნეებში კი იაპონურ ხელოვნებას თავისი კვალი დაამჩნია დასავლური ხელოვნების ტექნიკურმა და კულტურულმა ღირებულებებმა.

ამრიგად, ერთადერთი რამ, რაც იაპონიის ისტორიის მანძილზე სხვადასხვა კულტურების იდეებითა და გამოცდილებებით გაჯერებულ ადგილობრივ ხელოვნებაში ცალსახად იაპონური იყო, არის იაპონური უნიკალური გემოვნების გამოხატულება.

უძველესი პერიოდი

იაპონიის პირველი ახალმოშენები, *ჯიომონის* პერიოდში (დაახლ. ძვ. წ. აღ.-ის 10 000 წლიდან ძვ. წ. აღ.-ის 300 წლამდე პერიოდი) ძერწავდნენ თიხის ფიგურებს სახელად დოგუს; მათ უმეტესობას შეადგენდნენ ქალები. *იაიოი* (დაახლ. ძვ. წ. აღ.-ის 300-დან ჩვ. წ. აღ.-ის 300 წლამდე

პერიოდი) წარმოადგენდა სხვა ემიგრანტ ტომს, რომელიც აწარმოებდნენ სპილენძის იარაღს, ბრინჯაოს ზარებს და ლუმელში გამოძწვარ კერამიკას. ამას მოჰყვა *კოფუნ* ხანისთვის (დაახლოებით ჩვ. წ. აღ. 300-დან 710 წლამდე) დამახასიათებელი არტიფაქტები, ბრინჯაოს სარკეები და თიხის ქანდაკებები, სახელად *ჰანივა*, რომელიც იდგმებოდა სამარხების გარეთ.

იაიოს ხანაში წარმოებულ ზარებზე (*დოტაკუ*) დახატული სადა ფიგურები, ისევე როგორც კოფუნის პერიოდის ფრესკები, რომელიც ამკობდა სამარხების შიდა კედლებს, მიეკუთვნებოდა იაპონური ფერწერის საწყის პერიოდს.

ბუდიზმის და ჩინეთის გავლენა



ფერწერა მელნით
(ფოტო AFLO-სგან)

VI საუკუნეში დაიწყო ფერწერის აყვავება, როდესაც მმართველი კლასი დიდად დაინტერესდა ბუდიზმითა და ბუდისტური კულტურით, რომელიც შემოვიდა კორეიდან და ჩინეთიდან. გვიანი VII საუკუნისა და ადრეული VIII საუკუნის პერიოდიდან შემონახული ფერწერული ნამუშევრები შესრულებულია ჩინეთში იმ დროს განვითარებულ სტილში, რაც გაბატონებული იყო ექვსი დინასტიის ეპოქაში (222–589 წწ.). ისინი განმარტავენ ბუდას ცხოვრებასა და აღწერენ სხვა ბუდისტურ ღვთაებებს. X საუკუნის შემდეგ იაპონური ფერწერა სულ უფრო მეტ ზეგავლენას განიცდიდა *ჯიოდო შინკოდან* (წმინდა მიწის ბუდიზმი).

გვიან VI და ადრეულ VII საუკუნეებში მართველმა კლასმა განიზრახა ტაძრებისა და სამონასტრო კომპლექსების აგება. ამის თვალსაჩინო მაგალითებია ასუკადერა, შიტენოჯი და ჰორიუჯი.

ამ სატაძრო კომპლექსების ინტერიერი, განსაკუთრებით დარბაზები და სამლოცველოები, ბუდისტურ ხელოვნებასთან იყო შერწყმული. ფრესკები ჰორიუჯი კონდოში (ოქროს დარბაზი) წარმოადგენენ ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან ფერწერის ნიმუშებს. ამ ტაძრებში ასევე ვხვდებით, ბუდას, ბოდჰისატვას და სხვა მფარველ ღვთაებათა ქანდაკებებს. მათ შორისაა, შიაკას ღვთაება ჰორიუჯიში. ჰეიანის ხანის შუა პერიოდში (794-1185 წწ.) ადგილობრივმა ფერწერის მიმდინარეობამ, *იამატო-ემ*, დაიწყო ჩინური სტილის ჩანაცვლება. *იამატო-ე* ასახავდა კიოტოს შემოგარენის სცენებს და მისი ადრეული ნიმუშები შემორჩენილია დასაკვეც ან გასაწევ ტიხრებზე. ამ სიახლესთან ერთად დამკვიდრდა ფერწერის ორი ახალი ფორმატი: ალბომის ფურცელი და ილუსტრირებული *ემაკი*, რომელთაგან ყველაზე ცნობილია „*გენჯის ამზავის*“ (1120 წ.) ილუსტრაციის *ემაკი*.

XII საუკუნის მიწურულში ძალაუფლება გადავიდა დიდებულებიდან *სამურაის* კლასის ხელში, მიუხედავად ამისა, დიდებულები, ისევე როგორც ტაძრების და სალოცავების მმართველები, კვლავ ინარჩუნებდნენ დიდ სიმდიდრეს და იყვნენ ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის მფარველები. კამაკურას (1185–1333 წწ.) ხანისთვის, რომლის სახელწოდებაც მოდის იმ

ადგილიდან, სადაც ახალი მთავრობის რეზიდენცია დაფუძნდა, დამახასიათებელია ორი ძირითადი მიმართულება: რეალიზმი, რომელიც მიზნად ისახავდა სამურაის კლასის გემოვნების დაკმაყოფილებას და კონსერვატიზმი, რომელიც დიდებულების გემოვნებას ეფუძნებოდა.

რეალიზმი უფრო აშკარად ვლინდება ქანდაკებაში. კეის სკოლის ყველაზე ცნობილი მოქანდაკე უნკეის (ქანდაკებაში რეალისტური სტილის შემქმნელი), მის სხვა სრულყოფილ ნამუშევართან ერთად, აქვს ტოდაიჯის ჭიშკართან მდგომი ორი ნიო მცველის გამოსახულებისა და ორი ინდიელი ბრძენის, მუჩიაკუსა და სემინის, ხის ქანდაკებები კოფუკუჯიში.

ძენ ბუდიზმის გავრცელებამ XIII საუკუნეში, დაამკვიდრა სხვა სექტებისგან განსხვავებული არქიტექტურული თუ მხატვრული სტილი. XIV საუკუნეში პერგამენტის გრაფიკაზე ხატვამ გზა მისცა მეღვინეობის ხატვას, რომელმაც ფესვები გაიდგა ცნობილ ძენის მონასტრებში, კამაკურასა და კიოტოში. ძენის მიმდევარმა მხატვრებმა, უფრო მეტად მათმა მფარველებმა, აჩვენეს მკაცრი სტილის უპირატესობა, რაც გადმოღებულ იქნა ჩინური სუნგ (960-1279 წწ.) და იუანი-დან (1279-1368 წწ.). 1400 წლის დასასრულისთვის ძენის ტაძრის მხატვრებსა და მათ მფარველებს კიოტოში უკვე ჰქონდათ გავრცელებული მონოქრომული ლანდშაფტური ფერწერა სახელწოდებით *სუიბოკუგა*. ძენ მხატვრებს შორის იყო მღვდელი, სახელად შეშიუ, რომელიც ჩინეთში გაემგზავრა ჩინური ფერწერის შესასწავლად.

გვიანი XVI საუკუნის მხატვრობაში მომძლავრდა კანოს სკოლა, რომელიც სარგებლობდა ისეთი სუვერენის ძლიერი მხარდჭერით, როგორც იყო ოდა ნობუნაგა. კანოს სკოლა იყენებდა პოლიქრომული სტილის ფრესკულ და ტიხრულ მხატვრობას, რომელიც მიზნად ისახავდა მაქსიმალური ეფექტების მიღებას. კანოს სკოლის ყველაზე შესანიშნავი წარმომადგენელი იყო ეიტოკუ.

ედოს პერიოდი (1603-1868 წწ.)



ნაბეჭდი უკიო-ე

უტაგავა ჰიროშიგეს უკიო-ეს ნაბეჭდი გრაფიურა *ტოკაიდო გოჯიუსან ცუგო: ნიჰონნაში* (ტოკაიდოს ორმოცდაცამეტი სადგური: ნიჰონნაში) (ფოტო AFLO-სგან)

ტოკუგავას *შიოგუნატი* ხელისუფლებაში მოვიდა 1603 წელს და მშვიდობა და სტაბილურობა მოუტანა იაპონიას როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. რამდენადაც ამ პერიოდში ვაჭრები ედოსა (დღევანდელი ტოკიო) და კიოტოში სულ უფრო და უფრო მდიდრდებოდნენ, მათ საკუთარ თავზე აიღეს კულტურული მოღვაწეობის კონტროლი.

კან'ეის პერიოდის (1624-1644) ნახატები აღწერდა საზოგადოების ყველა კლასიდან გამოსული ადამიანებით გავსებულ გასართობ რაიონს, რომელიც მდებარეობდა კიოტოს მდინარე კამოგავას სანაპიროსთან. მსგავსი გარეუბანი არსებობდა ოსაკასა და ედოშიც, სადაც დულდა დაუსახლებელი რაიონის, *უკიოეს* (მოტივტივე სამყარო) ცხოვრება. ამ უკანასკნელის ამსახველი სცენები უკვდავყო ხელოვნების ცაკლეულმა ჟანრმა *უკიო-ემ*. ამ ჟანრმა, რომელიც ხშირად ასახავდა საროსკიპოების რაიონებსა და კაბუკის თეატრს, პოპულარობა მოიხვეჭა მთელს ქვეყანაში. თავდაპირველად მხოლოდ ნახატებით გადმოცემული *უკიო-ე*, ადრეულ XVIII საუკუნეში გავრცელდა უკვე ნაბეჭდი გრავიურების სახითაც.

პირველი სახის ნაბეჭდი *უკიო-ე* წარმოადგენდა სექსის სახელმძღვანელოებს, რომელსაც იაპონურად *შიუნგა* (პორნოგრაფიული ფოტოები) ეწოდება. ეს წიგნები ან ალბომები ასახავდა უშუალო სასიყვარულო სცენებს. ასევე იყო წიგნები კომენტარებითა და სურათებით, რომელზეც გამოსახული იყვნენ იმ დროის ცნობილი მეძავეები, რომლებიც დაკავებული იყვნენ ისეთი ამქვეყნიური საქმიანობით, როგორცაა მაგალითად თმის დაბანა და ა. შ. მთავარი ყურადღება ამ სურათებში გადატანილია პერსონაჟების პოზებსა და *კიმონოს* დრაპირებაზე.

იმავე საუკუნის გვიან პერიოდში *უკიო-ე-ს* მოქმედების სცენამ კიოტო-ოსაკას რაიონებიდან ედოში გადაინაცვლა, სადაც ამ ჟანრის ნაწარმოებებს *კაბუკის* მსახიობთა გრაფიკული პორტრეტები დაედო საფუძვლად. საზოგადოება ასევე დიდი სიმპატიით შეხვდა *უკიო-ეს* იმ სახეობას, რომელიც მშვენიერ ქალებს გამოსახავდა.

გვიან XVIII საუკუნეში *უკიო-ე* შევიდა ოქროს ხანაში. ამ დროიდან, კერძოდ, XVIII საუკუნის 80-იან წლებში ქალური სილამაზე (კერძოდ, მაღალი, ელეგანტური ქალები, რომელთაც გამოჩნდნენ ტორიი კიონაგას ნაწარმოებებში) გახდა *უკიო-ეს* მთავარი შთაგონების წყარო. 1790 წლის შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით შემოვიდა ახალი მიმართულებები, რომელიც განავითარეს დღეისთვის კარგად ცნობილმა მხატვრებმა, რომელთაგანაც შეგვიძლია გამოვყოთ რამოდენიმე: კიტაგავა უტამარო, ტოშიუსა შიარაკუ, კაცუშიკა ჰოკუსაი, ანდო ჰიროშიგე და უტაგავა კუნიოში.

ზოგიერთი ევროპელისთვის, მათ შორის ევროპის უდიდესი მხატვრებისთვის, *უკიო-ე* უფრო მეტი იყო ვიდრე უბრალო ეგზოტიკური ხელოვნების ფორმა. *უკიო-ეს* სტილისტურ კომპოზიციებს, რაკურსებსა და ფერთა გამოყენების ტექნიკას სესხულობდნენ ისეთი მხატვრები როგორებიც იყვნენ: ედგარ დეგა და ვინსენტ ვან გოგი. მაგალითად, ბუნების თემების ხშირმა გამოყენებამ, რომელიც მანამდე იშვიათი იყო დასავლეთის მხატვრობაში, გაზარდა მხატვრული თემების არჩევანი. ემილ გალემ, ფრანგმა მხატვარმა და მინის დიზაინერმა, გამოიყენა ჰოკუსაის თევზის ესკიზები თავისი ვაზების დეკორაციებში.

კანოს სკოლა განაგრძობდა თავისი ზეგავლენის ზრდას და მალე ჩამოყალიბდა ტოკუგავას შიოგუნატის სამხატვრო აკადემიად. კანოს სკოლისგან განსხვავებით, რომელსაც პატრონობდნენ იმ პერიოდის ავტორიტეტები და სადაც ტრადიციების მემკვიდრეობითი სისტემა გადადიოდა უფროსიდან შეგირდზე, რინპას სკოლას, არსებული მემკვიდრეობითი სისტემისგან

განსხვავებით, ჰქონდა ისეთი სამხატვრო სტილი, რომელიც განვითარდა სხვა მხატვრებისგან მიღებული შთაგონებითა და მათი ზეგავლენის წყალობით. ყველაზე კარგად ცნობილი რინჰას სკოლის წარმომადგენელი იყო ოგატა კორინი, რომელიც მოღვაწეობდა ედოს პერიოდის (1603-1868 წწ.) შუა წლებში. მას შემდეგ, რაც შევირდად მიაზარეს კანოს სტილის ხელოვან მხატვრებს, კორინზე დიდი ზემოქმედება იქონია მისმა წინამორბედთა ნამუშევრებმა, როგორცაა: ტავარაია სოტაცუ, რომელიც ცნობილი იყო თამამი კომპოზიციებითა და დიზაინებით. ამასთან ოგატა განაგრძობდა გამორჩეული სტილის განვითარებას, რომელიც ასახავდა ეპოქის მაჯისცემას. მისი სტილი ცნობილია თავისი დეკორატიული ესთეტიკითა და დახვეწილი დიზაინით, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო ხელოვნებაზე როგორც ფერწერის, ასევე კერამიკული დიზაინის თვალსაზრისით.

მეიჯის პერიოდისა (1868–1912 წწ.) და მისი პოლიტიკური ვესტერნიზაციის კურსის დადგომისთანავე *უკიო-ემ*, რომელიც ყოველთვის ახლო კავშირში იყო თანამედროვე კულტურასთან, რაც მისი სამხატვრო თემებითა და სასიცოცხლო ძალებით მასაზრდოებელი იყო, სწრაფად იწყო გაქრობა.

ამასობაში ედოს პერიოდის დასასრულისთვის, ევროპულ ფერწერას უკვე დიდი ზეგავლენა ჰქონდა მოხდენილი იაპონურ ფერწერაზე. იმ დროის წამყვანი მხატვრების ნამუშევრებში (როგორებიც იყვნენ: მარუიამა ოკიო, მაცუმურა გოშიუნი და იტო ჯიაკუჩი) იაპონური, ჩინური და დასავლური სტილის მხატვრულ ასპექტებს ერთად ჰქონდათ თავი მოყრილი. კულტურამ იაპონიაში განიცადა საკმაოდ დრამატული ტრანსფორმაცია მეიჯის ხანაში, როდესაც დაიწყო მართვის დასავლური ტექნოლოგიებისა და კონცეფციების შესწავლა და ხალხის საკეთილდღეოდ მათი იაპონიაში დანერგვა. მოდერნიზაციის ამ პროგრამის გატარებისას დასავლურ მხატვრობას წილად ხვდა ოფიციალური მოწონება და მთავრობამ მხატვრები გააგზავნა საზღვარგარეთ სასწავლებლად.

ტრადიციულ იაპონურსა და ახალ დასავლურ სტილებს შორის რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მეტოქეობის შემდეგ, ტაიშიოს პერიოდში (1912-1926 წწ.) საბოლოოდ გაძლიერდა დასავლეთის ზეგავლენა მხატვრობაზე.

თანამედროვე პერიოდი

თანამედროვე პერიოდში მხატვრებმა, უმეჰარა რიუძაბურომ და იასუი სოტორომ, შეისწავლეს და პოპულარიზაცია გაუწიეს პოლ სეზანის, პიერ ოგისტ რენუარისა და კამილ პისაროს სამხატვრო სტილებს.

II მსოფლიო ომამდე წლებში იასუი და უმეჰარა განუდგნენ ძირითადად დერივატიული ხასიათის დასავლური სტილის მხატვრობას იაპონიაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია უმეჰარას ზემოქმედება, რადგან მან თავის ნაწარმოებებში დაამკვიდრა იაპონური სტილის

ელემენტები, რაც წარმოადგენდა ერთგვარ ინოვაციურ გადაწყობას და ამით წახალისა სხვა დასავლურ სტილში მომუშავე იაპონელი მხატვრებიც, რომ მეტი გამომხატველობა მიეცათ მათი ნამუშევრებისთვის.



ხელოვნების ეროვნული ცენტრი
მისთვის დამახასიათებელია გამჭვირვალე ატრიუმის გამოყენება

იაპონური ფერწერის მოდერნიზაცია გაგრძელდა იასუდა იუკიჰიკოსა და კობაიაში კოკეის ხელმძღვანელობით. სხვა მხატვრები ცდილობდნენ გაეღვივებინათ ინტერესები იაპონური სტილის მხატვრობის მიმართ, პოპულარული თემებზე მუშაობითა და ხშირი გამოფენების მოწყობით.

XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ხელოვანები საზღვარგარეთ ცოდნის მიღების შემდეგ შინ დაბრუნდნენ, დასავლური სტილის ქანდაკებებისადმი ჭეშმარიტმა ინტერესმა სწრაფად იმატა. ამ მოქანდაკეების რიცხვს ეკუთვნოდა ოგივარა მორიე, რომელმაც დაამკვიდრა ოგიუსტ როდენის სტილი და გახდა იაპონური ქანდაკების მოდერნიზაციის პიონერი. მეორე გავლენიანი მოქანდაკე იყო ტაკამურა კოტარო, ვინც ასევე გახლდათ გამოჩენილი

პოეტი; მან თარგმნა როდენის შეხედულებები ხელოვნებაზე.

მეორე მსოფლიო ომის არაპროდუქტიული წლების შემდეგ, ხელოვნებამ იაპონიაში სწრაფად დაიბრუნა თავისი ორიგინალობა. ომის შემდეგ დასავლური მხატვრული ტენდენციები სწრაფად მიიღეს იაპონიაში, რომელთა შორისაც იყო: პოპ-არტი, ოპ-არტი, მინიმალური ხელოვნება, კარკასი, კინეტიკური ხელოვნება და ასამბლიაჟი.

ტრადიციულად სხვა კულტურებიდან მიღებული მითითებების ნაცვლად, ამჟამად იაპონელი მხატვრები, როგორც ორიგინალური შემომქმედები, ეძებენ საკუთარი გამოხატულების დამოუკიდებელ საშუალებებს და კუთვნილი წვლილი შეაქვთ მსოფლიო ხელოვნების განვითარებაში. მაგალითისთვის გავიხსენოთ რამდენიმე მათგანი: ოკამოტო ტარო, რომელმაც გამოაქვეყნა თავისი ნამუშევრები 1953 წლის სან პაოლოს ბიენალეზე და 1954 წლის ვენეციის ბიენალეზე, და რომელსაც ეკუთვნის 1970 წლის ოსაკას საერთაშორისო გამოფენის სიმბოლოს, *ტაიო ნო ტო* (მზის კომპის) დიზაინი და იკედა მასუო, რომელმაც გამოაქვეყნა ბევრი ნაბეჭდი ნაწარმოები სავსე ეროტიზმითა და ირონიით, რამაც მისი სახელი პოპულარული გახადა მსოფლიო მასშტაბით. იკედამ ასევე მოიღო გრან პრი ნაბეჭდების (პრინტი) დამზადებაში 1966 წელს ვენეციის ბიენალეზე; გარდა ამისა, დიდ პატივს სცემენ ჰირაიამა იკუოს აბრეშუმის გზის პეიზაჟის სურათების წარმოდგენისთვის, რომელიც სავსეა ფანტაზიით; ივასაკი ჩიჰირო, რომელიც ხატავდა სურათებს ბავშვებისთვის, ფართოდ გახდა აღიარებული ბავშვების პორტრეტებით, მისი სურათების უმეტესობა იბეჭდებოდა ნახატების წიგნებისთვის და ეს წიგნები ქვეყნდებოდა მსოფლიოს ათზე მეტ ქვეყანაში; მხატვარი კუსუმა იაიოი, რომელიც თავდაპირველად ცდილობდა იმ ჰალუცინაციების მხატვრულ ტილოებზე გადატანას, რომლითაც ის ბავშვობაში იტანჯებოდა და დღეს ქმნის მხატვრულ ტილოებსა და სხვა



ნამუშევრებს განმეორებითი ხასიათის მოტივებზე, რაც ძირითადად შედგება წერტილებისა და ბადეების ფორმებისგან. მას მრავალ ადგილობრივ გალერეაში აქვს გამართული ნახატების ჩვენება და მთელ მსოფლიოში აქვს მოწყობილი გამოფენები; ისეთი მხატვრები, როგორებიც არიან: ნარა იოშიტომო, ვისი სურათებიც პატარა გოგონების გაბრაზებული თვალებით ასახავს ერთდროულად სასიამოვნოსა და შემზარავ მსოფლიოს და მურაკამი ტაკაში, რომელიც იყენებს ტიპიურ იაპონურ კულტურას, *მანგასა* და *ანიმეს* თავისი ბუნებრივი ზომის გოგონების ფიგურებისთვის და ა. შ.